ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

№56 24.05.2017წ

ა.(ა).ი.პ. ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანება
სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის განკარგულება #1523 23 მაისი 2017 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ ქ. მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანება, წარმომადგენელი მისი დირექტორის შორენა არჯევანიძის სახით (შემდგომში "დამკვეთი") ხოლო, მეორეს მხრივ ს.ს.ი.პ. საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „რუსთავი".დირექტორი ამირან თოიძის სახით (შემდგომში "შემსრულებელი") ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ქალაქ მცხეთაში 2017 წლის 26 მაისს დაგეგმილი ღონისძიების ფარგლებში გალა-კონცერტში მონაწილეობა 1 საათიანი პროგრამით თანხით 7500 (შვიდიათასხუთასი) ლარის ოდენობით.

CPV კოდი –92312120–-7500 (შვიდიათასხუთასი) ლარი

2. მხარეთა ვალდებულებები

2.1 "შემსრულებელი" ვალდებულია უზრუნველყოს 2017 წლის 26 მაისს ქ. მცხეთაში დაგეგმილი გალა-კონცერტში მონაწილეობა 1 საათიანი პროგრამით

2.2 "შემსრულებელი" უზრუნველყოფს შესრულებული სამუშაოს ხარისხსა და პასუხს აგებს მის უხარისხობაზე თუ იგი გამოწვეულია "შემსრულებლის" არასწორი ქმედებით.

2.3 "დამკვეთი" ვალდებულია აუნაზღაუროს "შემსრულებელს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღირებულება.

2.4 "დამკვეთი" და "შემსრულებელი" იღებენ ვალდებულებას, დროულად და სრულად შეასრულონ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

3. ფასი და გადახდის წესი

3.1 სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 7500 (შვიდიათასხუთასი) ლარს.

3.2 ანგარიშსწორების ფორმაა უნაღდო ანგარიშსწორება ეროვნულ ვალუტაში.

4. ხელშეკრულების პირობების შესრულება

4.1 ხელშეკრულების პირობების შესრულებულად ითვლება მას შემდეგ როდესაც ორივე მხრიდან დადასტურდება შესრულების აქტით.

5. ხელშეკრულების პირობების შეცვლა

5.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ერთმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ.

5.2 შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

6. ხელშეკრულების ვადა

6.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება მხარეთა მიერ ხელშეკრულების ორმხრივად ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2017 წლის 04 ივნისამდე

7. ფორსმაჟორი

7.1 ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობებისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

8. სადავო საკითხები

8.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებული მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა წყდება მხარეთა კონსულტაციების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9. დასკვნითი ნაწილი

9.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
9.2 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად ქართულ ენაზე. ორივე ეგზემპლარის ტექსტი იდენტურია და გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

10. მხარეთა რეკვიზიტები

დამკვეთი

ქ. მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანება

ს/კ 436036362
მიმღები ბანკი
სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში

ბ/კ TRESGE22
მიმღების ანგარიში(სახაზინო კოდი) 74 2209921
ქ. მცხეთა მამულაშვილის ქ.12
ტელ: 2 51 25 69

გაერთიანების დირექტორი

ხარჯვანიძე

შემსრულებელი

ს.ს.ი.პ. საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „რუსთავი"
ს.კ. 216297433
მიმღები ბანკი:სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი TRESGE22

მიმღების ანგარიშის სახაზინო კოდი: 708147168

დირექტორი

ა.თოიძე

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

24.05.17

ა.ა.ი.პ. მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანება, დირექტორი შორენა არჯევანიძე და მეორე მხრივ "შემსრულებელი" ს.ს.ი.პ. საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „რუსთავი", დირექტორი ამირან თოიძე ვადასტურებთ, რომ არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში. ჩვენს მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობა, ვალდებულება და შესრულება (კოდი-92312120) არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების" შესახებ საქართველოს კანონის მე-8-ე მუხლს და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011.07.04 №9 ბრძანების გამარტივებული შესყიდვების შესახებ. ასევე, არ ეწინააღმდეგება ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესს (№17 მუხლი). აქედან გამომდინარე, ორივე მხარე არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში.

ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და

სასპორტო და წესებულებათა გაერთიანების

დირექტორი შ.არჯევანიძე

ს.ს.ი.პ. საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური

ანსამბლ „რუსთავი"-ს დირექტორი ა. თოიძე